



ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



დადგენილება № 14/42

2023 წლის 18 დეკემბერი

ქალაქი ფოთი

„ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის №6/46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის

საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

„ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის №6/46 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 28/12/2017, სარეგისტრაციო კოდი: 010250000.35.111.016364) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დებულების:

ა) მე-13 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. მერიის სამსახურებია:

- ა) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური;
- ბ) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახური;
- გ) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახური;
- დ) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური;
- ე) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სპორტის სამსახური;
- ვ) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახური;
- ზ) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახური;
- თ) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის მდგრადი განვითარებისა და ინოვაციების სამსახური.”
- ბ) მე-14 მუხლის მე-6 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე



ალექსანდრე ტყებუჩავა